IPN
ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

# საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაცია დღეს თბილისში სასამართლო დავას დაესწრება

09:06 17-03-2011

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ცენტრალურ ოფისში დღეს, საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაცია პრესკონფერენციას გამართავს .

საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციების დელეგაცია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით 16 მარტს ჩამოვიდა და 19 მარტის ჩათვლით დარჩება. დელეგაცის შემადგენლობაში არიან ალექსანდრა რუდიგი - განათლების ინტერნაციონალი, განათლების სექტორის მსოფლიო პროფკავშირული გაერთიანება; დევიდ პოიზენო - ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტი, განათლების ინტერნაციონალის ევროპის რეგიონი; ნილს ლუნერაპი - დანიის განათლების პროფკავშირები; კარმენ ლუდვიგი - გერმანიის პროფკავშირები; ანტონ ლეპიკი - საერთაშორისო პროფკავშირების გაერთიანება.

დელეგაციის ხუთკაციანი შემადგენლობა ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობას და ევროკავშირის ელჩს, ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას. მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მხარდაჭერა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისა და სპმთპ-ის ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტის მიმართ.

დელეგაციის წევრები დღეს დაესწრებიან სარჩელის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლოში სპმთპ-ის მე-6 საარჩევნო ყრილობის შედეგების თაობაზე. სასამართლო სხდომის შემდეგ დელეგაციის წევრები პრესკონფერენციას გამართავენ და საკუთარ შეფასებებს წარმოადგენენ.

დელეგაციამ სპმთპ-ის ხელმძღვანელთან ერთად განიხილა, თუ რა დახმარება შეიძლება გაეწიოს ორგანიზაციას, რათა შენარჩუნდეს მასწავლებელთა უფლებების რეალურად დამცველი ორგანიზაცია. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, შეხვდნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ ლიდერებს და უშუალოდ მათგან მოისმინეს იმ პრობლემატური საკითხების შესახებ, რაც პედაგოგთა პროფკავშირის წინაშე დგას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მასალის გამოყენების პირობები